

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესიული განათლების მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფის

კონცეფცია

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი სწავლა - სწავლებისა და შეფასების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით პროცესებს წარმართავს დემინგის ციკლის გამოყენებით: „დაგეგმვა-განხორციელება-შეფასება-გადახედვა/გაუმჯობესება“

დაგეგმვის ეტაპი მოიცავს:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და სწავლების დაგეგმვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის შესაბამისად;
- სასწავლო პროცესის დაგეგმვის განხორციელება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმების საფუძველზე შემუშავებული კალენდარული გეგმების შესაბამისად;
- შიდა ვერიფიკაციის პროცესის დაგეგმვა ვერიფიკაციის წესის შესაბამისად;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებების დაგეგმვა (მოდულური პროგრამის შემუშავება, ტრენინგები სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიის საკითხებზე, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება და ა.შ.);
- სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით ახალი მექანიზმების შემუშავება
- პარტნიორ დასაქმებულებთან კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა აქტივობების შემუშავება.

განხორციელების ეტაპი მოიცავს:

კოორდინაციას უწევს/ატარებს გამოკითხვების ჩატარებას, მოიძიებს/გამოითხოვს საჭირო ინფორმაციას პროგრამის განვითარების მიზნებისთვის;

- სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ურთიერთდასწრების ორგანიზება და გამოცდილებათა გაზიარება;
- მეცადინეობის ანალიზი გაკვეთილზე დასწრების კითხვარის გამოყენებით;

- პროგრამის განმახორციელებელთა გამოკითხვა სასწავლო კურსის/მოდულის მიმდინარეობის თაობაზე სპეციალური კითხვარის გამოყენებით სასწავლო კურსების/მოდულების დასრულების შემდეგ;
- სამუშაო შეხვედრების ორგანიზება და სასწავლო პროცესის ხარისხთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება;
- შიდა ვერიფიკაციის პროცესის განხორციელება ვერიფიკაციის წესის შესაბამისად;
- პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ხარისხის მართვის მენეჯერთან ერთად მოდულური პროგრამების განხორციელების მონიტორინგის უზრუნველყოფა და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების შემუშავება
- სტუდენტთა მოტივაციის გაზრდა სხვადასხვა ტიპის აქტივობებით
- საწარმოო პრაქტიკის მაღალ დონეზე ორგანიზება, დასაქმების პერსპექტივების გათვალისწინებით
- პროფესიულ სტუდენტთა დასაქმების, განსაკუთრების წარმატებული სტუდენტების, კურსდამთავრებულების დასაქმების ხელშეწყობა

შეფასების ეტაპი მოიცავს:

- სასწავლო კურსების/მოდულების სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიის რელევანტურობის შეფასება;
- მეცადინეობებზე დასწრება და ანალიზი გაკვეთილზე დასწრების კითხვარის გამოყენებით
- პროფესიულ სტუდენტთა აკადემიური შედეგების ანალიზი
- პროფესიული მასწავლებლების შეფასება პროფესიულ სტუდენტთა მიერ კითხვარის გამოყენებით და ანალიზი
- პროფესიული მასწავლებლების რეფლექსია შემუშავებული კითხვარის გამოყენებით
- კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევა კითხვარების საშუალებით და ანალიზი
- დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევა კითხვარების საშუალებით და ანალიზი
- დასაქმების სტატისტიკის წარმოება

გადახედვა/გაუმჯობესების ეტაპი მოიცავს:

- სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასების ინსტრუმენტებით ხარვეზების მიზეზების გამოვლენა და რეკომენდაციების წარმოდგენა ხარისხის გაუმჯობესებაში დაკავშირებით
- ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები პედაგოგებთან სწავლებისა და შეფასების საკითხებთან დაკავშირებით
- არსებული საჭიროებების ანალიზის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირება დადგენილი პროცედურის შესაბამისად

- გამოკითხვების/კვლევის ანალიზის შედეგების გამოყენება სასწავლო პროცესის/პროგრამების გასაუმჯობესებლად

შიდა შეფასების მექანიზმის ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებზე პასუხისმგებელი პირები გასაზღვრულია თანამშრომელთა მოვალეობების წესითა და სამოქმედო გეგმით.